

1984



პრესულებარეალ  
შპელა  
გვეუბნისა,  
ზეპირდიდი

საქართველოს

საგანგოობა

№ 4

სოციალისტური

რესპუბლიკის

1984

ემარტენი საგანგო

უცხომზიმი

საქართველოს სსრ ეგაღლენი საგანგო გამოცემა

0804060



საქართველოს საგვორვალო სოციალისტური კულტურის

# უმაღლესი საგვორვალო უნიკანი



№ 4 (484)

აპრილი

1984 წლი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

## განცოლილება პირები

100. საქართველოს ჯსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
101. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ღამატების შეტანის შესახებ.
102. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

## განცოლილება მიორი

103. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამ. ნ. ა. ანელი-სათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების ღმისახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
104. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამ. ი. ი. რუხაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის ღმისახურებული მუშაյის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
105. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამ. ე. პ. ქემერილიძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების ღმისახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

კ. ბარქსის სახ. საქ. სსრ

სახელმწიფო რესპუბლიკი



119. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამს. მ. კ. გუნჩენ-კოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და-ჯილდოების შესახებ.
120. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამს. ს. მუ-ხაშვრიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
121. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამს. ვ. ე. ჯაყელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
122. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში თავგამოჩენილი სახალხო რაზმელების საქართველოს სსრ უმაღ-ლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
123. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ სახტელერადიოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
124. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ სახტელერადიოს მუშაյთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

### განცოცილება მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში  
ცვლილება აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

## განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საგზოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**100** საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდე-  
სში ცვლილებათა და დამატებათა უმცავის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციისთან, საქართველოს სსრ კონსტიტუციისთან,  
„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამარ-  
თლწარმოების საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შე-  
სახებ“, „სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების კანონმდებლობის შემ-  
დგომი სრულყოფის შესახებ“, „სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქ-  
ტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღ-  
ლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 13 აგვისტოს, 1982 წლის 26 ივლი-  
სისა და 15 ოქტომბრის ბრძანებულებებთან, სსრ კავშირის სხვა საკანონმდე-  
ბლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის, აგრეთვე საქართველოს სსრ სის-  
ხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზ-  
ნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო  
კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11; № 17, მუხ. 268; № 26, მუხ. 417; 1962 წ. № 11, მუხ. 158; № 25, მუხ. 399; 1963 წ., № 16, მუხ. 271; № 19, მუხ. 313; 1965 წ., № 21, მუხ. 446; 1966  
წ., № 3, მუხ. 33; № 11, მუხ. 183, 184; № 12, მუხ. 200; 1968 წ., № 5, მუხ. 56; 1970 წ., № 8, მუხ. 124; № 11, მუხ. 177; 1971 წ., № 1, მუხ. 4; № 7,  
მუხ. 94; № 10, მუხ. 170; 1972 წ., № 2, მუხ. 30; № 11, მუხ. 224; 1973 წ.,  
№ 3, მუხ. 20; № 5, მუხ. 72; № 6, მუხ. 98; № 11, მუხ. 203; 1974 წ., № 1,  
მუხ. 4; № 8, მუხ. 151; № 9, მუხ. 171, 172; № 10, მუხ. 190; 1975 წ., № 1,  
მუხ. 3; № 2, მუხ. 32, № 8, მუხ. 165; № 11, მუხ. 202, 205, 206; 1977 წ.,  
№ 3, მუხ. 27, 28; № 4, მუხ. 42, 45; 1978 წ., № 6, მუხ. 123; 1979 წ., № 8,  
მუხ. 234; 1980 წ., № 7, მუხ. 216; 1981 წ., № 11, მუხ. 244; № 12, მუხ. 284;  
1982 წ., № 1, მუხ. 2; № 6, მუხ. 166) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2, 9<sup>1</sup>, მე-11, მე-12, მე-15, მე-17, მე-18, მე-19, 54-ე, მე-60,  
88<sup>1</sup>, 211-ე, 212-ე, 217-ე, 251-ე, 321-ე, 367-ე, 383-ე მუხლები ჩამოყალიბდეს  
შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 2.** სისხლის სამართლის სამართალწარმოების ამოცანები

საბჭოთა სისხლის სამართლის სამართალწარმოების ამოცანა დანაშაულის  
სწარტი და სრული განხსნა, დამნაშავეთა მხილება და კანონის სწორი გამოყე-  
ნების უზრუნველყოფა, რათა თითოეული დანაშაულის ჩამდენი სამართლიანად  
დაისახოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხის-  
ვებაში მიცემული და მსჯავრდებული.

სისხლის სამართლის სამართალწარმოებამ ხელი უნდა შეუწყოს სოცია-  
ლისტური კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცებას, დანაშაულის თა-  
ვიდან აცილებას და აღმოფხვრას, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქის

უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, მოქალაქის აღზრდას სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონტიტუციისა და საბჭოთა კანონმდებლობის განუხრელად დაცვის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით“.

**„მუხლი 9<sup>1</sup>.** მასალების გადაცემა საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელად

თუ პირი ჩაიდეს დანაშაულის ნიშნების შემცველ ისეთ ქმედობას, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, როცა ამ ქმედიზის ჩადენის ფაქტი აშკარაა, ხოლო მისი ჩამდენი შეიძლება საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებით გამოსწორდეს, სასამართლოს, პროკურორს, აგრეთვე გამომძიებელს და მოკვლევის ორგანოს, პროკურორის თანხმობით, უფლება აქვთ სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელად მასალები განსახილველად გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, ანდა გადასცენ ეს პირი თავდებქვეშ შრომითა კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას ხელახლა აღსაზრდელად და გამოსაწორებლად.

თუ პირი, რომელმაც ჩაიდინა ისეთი ქმედობა, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, წინააღმდეგია ამხანაგური სასამართლოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის მასალების გადაგზავნის, ანდა შრომითი კოლექტივისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის მისი თავდებქვეშ გადაცემისა, მაშინ საქმის წარმოება გრძელდება ჩვეულებრივი წესით“.

**„მუხლი 11.** მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ

მართლმსაჯულებას სისხლის სამართლის საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლის სამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განახენით და კანონის შესაბამისად.

**მუხლი 12.** მართლმსაჯულების განხორციელება კანონისა და სისამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე

მართლმსაჯულება სისხლის სამართლის საქმეებზე ხორციელდება კანონისა და სისამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე მიუხედავად წარმოშობისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთხითილებისა, სექსისა, განათლებისა, ენისა, რელიგიისადმი დამოკიდებულებისა, საქმიანობის სახეობისა და ხასიათისა, საცხოვრებელი აღგილის და სხვა გარემოებებისა“.

**„მუხლი 13.** ენა, რომელზეც ხორციელდება სამართლწარმოება

სამართლწარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე, ან მოცემული ადგილის მოსხლეობის უმრავლესობის ენაზე.

საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმღინარე სამართლწარმოების ენა, უზრუნველყოფილია დედაენაზე განცხადების შეტანის, ჩვენების მიცემის, შუამდგომლობის განცხადების, საქმის ყველა მასალის გაც-

ნობის, სასამართლოში გამოსვლის და ამ კოდექსით დადგენილი წესით თარ-ჯიმნის მოშესახურებით სარგებლობის უფლება.

ამ კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად ბრალდებულს ჩაბარდება დედაენაზე ან სხვა ენაზე, რომელსაც ის ფლობს, თარგმნილი საგამოძიებო და სასამართლო ღოკუმენტები.

**„მუხლი 17.** ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.

სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მომკვლევი პირი მოვალენი არიან უზრუნველყონ ბრალდებულისათვის კანონით დადგენილი საშუალებებითა და ხერხებით მისთვის წაყენებული ბრალდებისაგან თავის დაცვის შესაძლებლობა, აგრეთვე მისი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა.

**მუხლი 18.** საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა

სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მომკვლევი პირი მოვალენი არიან მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის, გამოავლინონ ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებელსა და მომკვლევ პირს უფლება არა აქვს მტკიცების მოვალეობა ბრალდებულს დააკისრონ.

აკრძალულია ბრალდებულისა და საქმეში მონაწილე სხვა პირთაგან ჩევ-ნებების გამოძალვა მუქარის, ძალადობის და სხვა უკანონო ზომების გამოყენებით.

**მუხლი 19.** ზემდგომი სასამართლოების ზედამხედველობა სასამართლოს საქმიანობისადმი

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სსრ კავშირის სასამართლოების, აგრეთვე საქართველოს სსრ სასამართლოების სასამართლო საქმიანობისადმი ზედამხედველობას კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ზედამხედველობას უწევს სა-ქართველოს სსრ ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობას, ხოლო აფხა-ზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო — შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქ თბილისის, ავტონო-მიური ოლქის სასამართლოების სასამართლო საქმიანობას“.

**„მუხლი 54.** საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობა

პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის გან-ხილვის მონაწილე მოსამართლე არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ამ საქ-მის საკასაციო ინსტანციაში ან ზედამხედველობის წესით განხილვის დროს, აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოში იმავე საქმის ხელახლა განხილ-

ვისას მისი მონაწილეობით დადგენილი განაჩენის ან საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინების გაუქმების შემთხვევაში.

საკასაციო იძსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მონაწილე მოსამართლემ არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ამ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ან ზედამხედველობის წესით განხილვის დროს, აგრეთვე საკასაციო ინსტანციის სასამართლოში იმავე საქმის ხელახლა განხილვისას მისი მონაწილეობით დადგენილი განჩინების გაუქმების შემდეგ.

ზედამხედველობის წესით საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლემ არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს პირველი ინსტანციის სასამართლოში და საკასაციო ინსტანციაში იმავე საქმის განხილვისას“.

**მუხლი 60.** დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა და მათი თავიდან აცილების ზომები

სისხლის სამართლის საქმის მოკვლევის, წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის დროს მოკვლევის ორგანო, გამომმებელი, პროკურორი და სასამართლო მოვალენი არიან გამოვლინონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები.

მოკვლევის ორგანოს, გამოძიებელს, პროკურორს, დაადგნენ რა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს, შეაქვთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ან თანამდებობის პირთან წარდგინება ამ მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების ზომების მისაღებად.

წარდგინების გამო არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში მიღებულ უნდა იქნეს საჭირო ზომები და შედეგი ეცნობის წარდგინების გამგზავნ პირს“.

**მუხლი 88<sup>1</sup>.** დაკავებულთა მოთავსების ადგილებში დაპატიმრებულთა ყოლის ვადები

დაკავებულთა მოთავსების ადგილებში დაპატიმრებულნი შეიძლება იყოლინ არა უმეტეს სამი დღე-ღამისა.

თუ საგამოძიებო იზოლატორში დაპატიმრებულთა გადაყყანა შეუძლებელია სიშორის ან სათანადო მიმოსვლის გზების უქონლობის გამო, ისინი დაკავებულთა მოთავსების ადგილებში შეიძლება ამყოფონ არა უმეტეს თხუთმეტი დღე-ღამისა“.

**მუხლი 211.** პროკურორის უფლებამოსილება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის განხორციელებისას

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის განხორციელებისას პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

1) მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებისაგან შესამოწმებლად მოთხოვს სისხლის სამართლის საქმეებს, ლოკუმენტებს, მასალებსა და სხვა ცნობებს ჩადენილი დანაშაულის, მოკვლევის, წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის და დანაშაულის ჩამდენი პირების დადგენის შესახებ; თვეში ერთხელ მარც ამოწმებს კანონის მოთხოვნათა შესრულებას დანაშაულის ჩადენის ან

შზადების თაობაზე განცხადებათა და შეტყობინებათა მიღების, რეგისტრაციისა და ვადაწყვეტის შესახებ;

2) აუქტებს გამომძიებლისა და მომკვლევი პირის უკანონო და დაუსაბუთებელ დადგენილებებს;

3) აძლევს წერილობით მიღით გვებს დანაშაულის გამომიების, ალკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების, დანაშაულის კვალიფიკაციის, ცალკეულ საგამომძიებო მოქმედებითა შესრულების და დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნის შესახებ;

4) ავალებს მოკვლევის ორგანოებს დაკავების, მოყვანის, დაპატიმრების, ჩხრეკის, ამოღების, დანაშაულის ჩამდენი პირების ძებნის შესახებ დადგენილების აღსრულებას, სხვა საგამომძიებო მოქმედებითა შესრულებას, აგრეთვე აძლევს მოთითებებს საჭირო ზომების მიღების შესახებ პროკურორის ან პროკურატურის გამომძიებლის წარმოებაში არსებულ საქმეებზე დანაშაულის გახსნისა და მისი ჩამდენი პირების აღმოჩენისათვის;

5) მონაწილეობს მოკვლევასა და წინასწარ გამომიებაში და საჭირო შემთხვევებში პირადად ასრულებს ცალკეულ საგამომძიებო მოქმედებებს ან სრული მოცულობით იმიებს ნებისმიერ საქმეს;

6) სანქციას აძლევს ჩხრეკაზე, ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციებზე ყადაღის დადებასა და მის ამოღებაზე, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენებაზე და ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამომიებლისა და მოკვლევის ორგანოს სხვა მოქმედებაზე;

7) აგრძელებს გამომძიების და პატიმრობის, როვორც აღკვეთის ღონისძიების, ვადას ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

8) უბრუნებს სისხლის სამართლის საქმეს თავმა მითითებებით მოკვლევის და წინასწარი გამომიების ორგანოებს დამატებითი გამომიებისათვის;

9) ჩამოართმევს ნებისმიერ საქმეს მოკვლევის ორგანოს და გადასცემს გამომძიებელს, გადასცემს საქმეს წინასწარი გამომიების ერთი ორგანოსაგან მეორეს, აგრეთვე — ერთი გამომძიებლისაგან მეორეს უფრო სრული და ობიექტური გამომიების უზრუნველყოფის მიზნით;

10) ჩამოართებს მომკვლევ პირს ან გამომიებელს შემდგომ მოქვლევას ან გამომიებას, თუ მათ დაარღვიეს კანონი საქმის გამომიების დროს;

11) აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს ან უარს ამბობს მის აღძრაზე; შეწყვეტის ან შეაჩერებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას; თანხმობას აძლევს გამომძიებელს ან მოკვლევის ორგანოს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტაზე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ამტკიცებს საბრალდებო დასკვნას; წარმართავს სისხლის სამართლის საქმეს სასამართლოში.

პროკურორი ახორციელებს აგრეთვე ამ კოდექსით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებასაც.

#### მუხლი 212. პროკურორის მითითებათა საგალდებულობა

პროკურორის მიერ მოკვლევისა და წინასწარი გამომიების ორგანოებისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით მიცემული მითითებანი სისხლის სამართლის საქმეთა აღძრასა და გამომიებასთან დაკავშირებით სავალდებულოა ამ ორგანოებისათვის. მიღებული მითითებების გასაჩივრება ზემდგომ

პროცესუალურთან ვერ შეაჩარებს მათს შესრულებას გარდა ამ კოდექსის 127-ე მუხლის. შეორე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

„მუხლი 217. პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიებისა და სასამართლო  
სხდომაზე დასაბარებელ პირთა სიის შეცვლა

პროკურორს ან მის მთაბეჭდის უფლება აქვს გააუქმოს ან შეცვალოს ადრე შერჩეული აღკვეთის ღონისძიება ან შეარჩიოს აღკვეთის ღონისძიება, თუ ასეთი არ იყო შერჩეული. პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გაუქმების, შეცვლის ან შერჩევის შემთხვევაში პროკურორი ან მისი მთაბეჭდის ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 88-ე მუხლის მეექვეს ნაწილით გათვალისწინებული წესებთ.

პროექტის ან მის მთავრილებულება აქვს შეცვალოს საბრალდებო დასკვნაზე დართული სასამართლო სხდომაზე დასაბარებელ პირთა სია“.

„მუხლი 251. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტი-  
ვების წარმომადგენელთა მონაწილეობა სასამართლო გან-  
ხილვაში

სისხლის სამართლის საქმეთა სამართლწარმოებაში დაიშვება საზოგადო-ებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები სასამართლოს განჩინებით შეიძლება დაშვებულ იქნენ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობისათვის როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებლები ან საზოგადოებრივი დაცველები. მათ გამოყოფს საზოგადოებრივი ორგანიზაციის საერთო კრება ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შრომითი კოლექტივი, აგრეთვე საამქროს, განყოფილების ან სხვა ქვედანაყოფის კოლექტივი, რომლებიც წერილობით ადასტურებენ მათს უფლებამოსილებას.

საზოგადოებრივ ბრალმდებელს უფლება აქვს წარადგინოს მტკიციცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათს გამოკვლევაში, სასამართლოს წინაშე აღძრას შეამდგომლობა და განაცხადოს აცილება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო კამათში, ამასთან მოახსენოს სასამართლოს პრიზი ბრალდების დამტკიცებულების, განსასჯელის და მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შესახებ. საზოგადოებრივ ბრალმდებელს შეუძლია გამოთქვას მოსაზრებანი განსასჯელის მიმართ სისხლის სამართლის კანონისა და სასჯელის ზომის შეფარდების შესახებ და საქმის სხვა საკითხებზე. საზოგადოებრივ ბრალმდებელს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე, თუ სასამართლო გამოიყების მონაცემები იძლევა საამისო საფუძველს.

საზოგადოებრივ დამცველს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათს გამოკვლევაში, სასამართლოს წინაშე აღძრას შუა-მდგომლობა და განაცხადოს აცილება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო კა-მათში, ამასთან მოახსენოს სასამართლოს აზრი პასუხისმგებლობის შემამსუ-ბუქებელ ან განსასჯელის გამამართლებელ გარემოებათა შესახებ, აგრეთვე განსასჯელისათვის სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობის, მისი პირობით გათაჭისუფლების, განაჩენის აღსრულების გადადების ან სასჯელისაგან გათა-

რიცფლების და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კულტურული რაოდებების გადაცემის შესახებ, რომლის სახელითაც საზოგადოებრივი დამცველი გამოდის.

არასრულწლოვანთა საქმეების გამო სასამართლოს უფლება აქვს სასამართლო გარჩევაში მონაწილეობისათვის მიიწვეოს იმ საწარმოს, რაწესებულები, და ორგანიზაციის წარმომადგენელი, სადაც სწავლობდა ან მუშაობდა არასრულწლოვანი, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის და ინსპექციის, ხოლო საჭიროების დროს — სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელიც”.

„მუხლი 321. პირველი ინსტანციის სასამართლოს კერძო განჩინება სასამართლო, რომელიც საქმეს პირველი ინსტანციით განიხილავს, ამ კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას გამოიტანს კერძო განჩინებას“.

„მუხლი 367. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს კერძო განჩინება სასამართლო, რომელიც საქმეს საკასაციო წესით განიხილავს, ამ კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას გამოიტანს კერძო განჩინებას“.

„მუხლი 383. სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების ზე დამხედველობის წესით გადასინჯვის გადები

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვა ზეღამხედველობის წესით უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის გამოყენების უცილებლობასთან დაკავშირებით. სასჯელის ლომბიერების ან სხვა საფუძვლებით, რომლებიც აუკარსებს მსჯავრდებულის მდგომარეობას, აგრეთვე გამამართლებელი განაჩენის ან საქმის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს განჩინების ან დადგენილების გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მათი კანონიერ ძალაში შესვლიდან“.

2. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 10<sup>1</sup>, 52<sup>1</sup>, 58<sup>1</sup>, 60<sup>1</sup>, 93<sup>1</sup>, 251<sup>2</sup>, 374<sup>3</sup> მუხლები.

„მუხლი 10<sup>1</sup>. ბინის ხელშეუხებლობა. პირიადი ცხოვრებისა და მიმოწერის საიდუმლოების დაცვა

მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ ბინის ხელშეუხებლობა. არავის არა აქვს უფლება კანონიერი საფუძვლის უქონლად შევიდეს ბინაში იქ შცხოვრებ პირთა ნების საწინააღმდეგოდ.

მოქალაქეთა პირიად ცხოვრებას, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოებას კანონი იცავს.

ჩჩრეკა, ამოლება, მოქალაქეთა სადგომის დათვალიერება, კორესპონდენციაზე ყადაღის დადგება და მისი ამოლება ფსუტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში წარმოებს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით“.

„მუხლი 52<sup>1</sup>. მოყვლევის ორგანოს, გამოშვიერლის, პროკურორისა და სასამართლოს მოვალეობა მიიღოს ზომები მოქალაქეთათვის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის სასაზღაურებლად

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისას დანაშაულის შემთხვევის, ქმედობაში დანაშაულის შემდგენლობის არაარსებობის ან დანაშაულის ჩადე-

ნაში მოქალაქეებს მონაშილუობის დაუმტკიცებლობის გამო, აგრეთვე გამამართლებელი განახენის დაღვენისას, მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო მოვალენი არიან განუმარტონ მოქალაქეს მისი დარღვეული უფლებების აღდგენის წესი და მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები მოქალაქესათვის უკანონოდ მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის უკანონოდ გამოყენების შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

ზარალის ანაზღაურების პირობები და წესი განისაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით“.

მუხლი 58<sup>1</sup>. გარემოებანი, რომელიც გამორიცხავენ საქმეში ადვოკატის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობას როგორც დაზარდებულის, სამოქალაქო მოსარჩეველისა და სამოქალაქო შოთასუხის დამცველისა და წარმომადგენლისა

აღვიკატს, პროფესიული კაშირის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელს უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღოს საქმეში როგორც დაზიანებულის, სამოქალაქო მოსარჩევის და სამოქალაქო მოპასუხის დამცველს ან წარმომადგენელს, თუ ის ამ საქმის გამო იურიდიულ დახმარებას უწევს ან ადრე უწევდა პირს, რომლის ინტერესები ეწინააღმდეგება იმ პირის ინტერესებს, რომელმაც თხოვნით მიმართა მას საქმის საწარმობლად, ან თუ ის ადრე მონაწილეობდა ამ საქმეში როგორც მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევი პირი, ექსპერტი, სპეციალისტი, თაორგანიზაციი, მოწმე ან დამსტრე, აგრძოვე, თუ საქმის გამოძიებაში ან განხილვაში მონაწილეობს თანამდებობის პირი, რომელთანაც აღვიკატი, პროფესიული კაშირის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი ნათესაურ კავშირში იმყოფება.

აღვიყატის, პროფესიული კაშირის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის აცილების საკითხი წყდება ამ კოლექტის 58-ე მუხლით გათვალისწინებული წესით“.

„მუხლი 60<sup>1</sup>. სასამართლოს კორდო განჩინება (დადგენილება)

სასამართლოს სათანადო საფუძვლების არსებობისას გამოაქვს კერძო განჩინება (დაღვენილება), რომლითაც სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან თანამდებობის პირთა ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილ კანონის დარღვევის ფაქტებს, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც სათანადო ზომების მიღებას საჭიროებან.

კერძო განჩინება (დაღვენილება) შეიძლება აგრეთვე გამოტანილ იქნეს სასამართლოს მიერ მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა და კანონის სხვა დარღვევათა აღმოჩენისას, რომლებიც დაშვებული იყო მოკვლევის, წინასწარი გემოძიების ან ქვემდგრომი სასამართლოს მიერ საჭირო განხილვის დროს.

სასამართლოს უფლება აქვს კერძო განჩინებით (დადგენილებით) საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და შრომითი კოლექტივის ყურადღება მიაქციოს დალგეულ მოქალაქეთა არასწორ ქცევას საჭარმოში, ყოფა-ცხოვრებაში ან

მთ შიგრ საზოგადოებრივი მოვალეობის დარღვევის. საჭირო შემთხვევაში კერძო განჩინების (დადგენილების) პირი შეიძლება გადაეგზივნოს ამხანაგურ სასამართლოს.

სასამართლო განხილვის მასალების მიხედვით სასამართლოს უფლება აქვს, თუ საჭიროდ ჩათვლის, გამოიტანის განჩინება (დადგენილება) სხვა შემთხვევებშიც.

სასამართლოს შეუძლია კერძო განჩინებით (დადგენილებით) აცნობოს შესაბამის საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მოქალაქის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისას მაღალი შევნებულობის, ვაკეაციონის გამოვლენის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის აღვეთას თუ გახსნას.

არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში კერძო განჩინების (დადგენილების) გამო მიღებულ უნდა იქნეს საჭირო ზომები და შედეგები ეცნობოს კერძო განჩინების (დადგენილების) გამომტკიციან სასამართლოს.

„მუხლი 93<sup>1</sup>. მეთვალყურეობა სამხედრო ნაწილის სარდლობის მხრივ  
სამხედრო ნაწილის სარდლობის მხრივ ეჭვმტანილი ან ბრალდებული სამხედრო მოსამსახურისაბმი მეთვალყურეობა მდგომარეობს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა წესდებებით გათვალისწინებული ზომების მიღებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეჭვმტკიცილის ან ბრალდებულის სათანადო ქცევა და მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით გამოცხადება.

სამხედრო ნაწილის სარდლობას ეცნობება საჭმის არსი, რის გამოც შერჩეულ იქნა იღნიშნული აღკვეთის ღონისძიება.

სამხედრო ნაწილის სარდლობის მხრივ მეთვალყურეობის დაწესების შესახებ წერილობით აცნობებს აღკვეთის ამ ღონისძიების შემრჩევი ორგანო“.

„მუხლი 251<sup>2</sup>. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის წარმომადგნელების მონაცილეობა არასრულწლოვანთა საჭმების სამართლო განხილვაში.

არასრულწლოვანის საჭმის განხილვის დროსა და აღვილს სასამართლო შეატყობინებს იმ საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, სადაც სწავლობდა ან მუშაობდა არასრულწლოვანი, არასრულწლოვანთა საჭმების კომისისა და ინსპექციის, ხოლო საჭიროების დროს — სხვა ორგანიზაციებსაც. სასამართლოს უფლება აქვს საჭირო შემთხვევაში სასამართლო სხდომაში გამოიძახოს ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, აგრეთვე განსახულელის მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების სამუშაო ადგილის მიხედვით საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სასამართლოს ნებართვით აღნიშნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს შეუძლიათ მონაცილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში. საჭირო შემთხვევაში ისინი შეიძლება დაკითხულ იქნენ მოწმის სახით“.

„მუხლი 374<sup>3</sup>. იმ მსჯავრდებულის სასხელისაგან გათავისუფლების წესი, რომლის მიმართ განაჩენის აღსრულება გადადებულია, და განაჩენის აღსრულების გადიდების გაუქმების წესი

სასამართლო მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შინაგან საქმეთა ორგანოს წარდგინებით, სასჯელისაგან ათავისუფლებს იმ მსჯავრდებულს, რომლის მიმართ განაჩენის აღსრულება გადადებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47<sup>1</sup> მუხლის მექენე ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით, ხოლო არასრულწლოვანს — შინაგან საქმეთა ორგანოსა და სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმსრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ერთობლივი წარდგინებით.

სასამართლო თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულების გადადებს გაუქმებს და განაჩენით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის მოსახლელად მსჯავრდებულს გაავავნის მისი საქმოვრებელი ადგილის მიხედვით შინაგან საქმეთა ორგანოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმსრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ან იმ შემომითი კოლეგიუმის წარდგინებით, რომელსაც დეკისრა მსჯავრდებულის მეთვალყურეობა და მასთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების მოვალეობა“.

### 3. პირველ მუხლში:

სათაურსა და პირველ ნაწილში სიტყვები „სასამართლო წირმოვების“ შეიცვალოს სიტყვით „სამართლწარმოების“:

მეორე ნაწილში სიტყვები „დამოუკიდებლად“ და „წარმოქს“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „მიუხედავად“ და „მიმდინარეობს“;

მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტიოთ:

„სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით დადგენილი სამართალწარმოების წესი ყველა სისხლის სამართლის საქმეზე და ყველა სასამართლოს, პროკურატურის, წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოსათვის ერთიანი და საფალდებულოა“.

მეოთხე ნაწილში სიტყვა „გამოკვლევის“ შეიცვალოს სიტყვებით „მოკლევის, წინასწარი გამოძიების“.

4. მე-4 მუხლში სიტყვები „ამ კოდექსით“ შეიცვალოს სიტყვებით „კანონით“.

### 5. მე-5 მუხლში:

მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტიოთ:

„9. იმ პირის მიმართ, რომლის შესახებ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ანდა სასამართლოს განჩინება ან დადგენილება იმავე საფუძვლით საქმის შეწყვეტის შესახებ“;

დაემატოს შემდეგი შინაარსის მეათე პუნქტი:

„10. იმ პირის მიმართ, რომლის შესახებ არსებობს მოკვლევის ორგანოს, გამოძიებლის, პროკურორის დადგენილება, რომელიც არ არის გაუქმებული, იმავე ბრალდების გამო საქმის შეწყვეტის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასამართლომ. რომლის წარმოებაშიც არის სისხლის სამართლის საქმე, ცნო საქმის დაძვრის უცილებლობა“.

6. მე-6 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვა „დამნაშავის“ შეიცვალოს სიტყვით „პირის“.

7. 6<sup>1</sup> მუხლში:

სითაურში სიტყვა „დამნაშავის“ შეიცვალოს სიტყვით „პირის“;

მე-4 პუნქტში სიტყვები „მშრომელთა კოლექტივს“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომითს კოლექტივს“;

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მეორე და მესამე ნაწილები:

„სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტამდე პირს უნდა განემარტოს დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედობის არსი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათვალისწილების საფუძვლები და ამ საფუძვლებით საქმის შეწყვეტაზე უარის თქმის უფლება.

ამ მუხლში მითითებული საფუძვლებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა არ დაიშვება, თუ პირი, რომელმაც ჩაიღინა დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედობა, ამის წინააღმდეგია. ამ შემთხვევაში საქმის წარმოება გრძელდება ჩვეულებრივი წესით“.

8. 6<sup>2</sup> მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „და დაზარალებულს“ შეიცვალოს სიტყვებით „აგრეთვე დაზარალებულს და მის წარმომადგენელს“.

9. ე-8 მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლოს, პროკურორს, აგრეთვე გამომმიებელს, პროკურორის თანხმობით, უფლება აქვთ შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე თვრამეტი წლის ასაქ მიუღწეველი პირის მიმართ, რომელმაც ჩაიღინა დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედობა, რაც იმ წარმოდგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, და გადასცეს საქმე არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას განსახილველად, თუ საქმის გარემოების და სამართალდაზღვევის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემების მიხედვით მისი გამოსწორება შესძლებელია სისხლის სამართლის სასჯელის გამოუყენებლად“;

მეორე ნაწილში სიტყვების „აგრეთვე დაზარალებულს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და მის წარმომადგენელს“.

10. მე-9 მუხლში:

სითაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. სასხლის სამართლის საქმის შეწყვეტა პირის თავდებქვეშ გადაცემთ

სასამართლოს, პროკურორს, აგრეთვე გამომმიებელს და მოკვლევის ორგანოს, პროკურორის თანხმობით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით, უფლება აქვთ შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე და გადასცენ თავდებქვეშ პირი, რომელმაც ჩაიღინა დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედობა, ხელის აღსაზრდელად და გამოსასწორებლად იმ ორგანიზაციას ან შრომითს კოლექტივს, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა“;

მეორე ნაწილში სიტყვები „თავდებობის ქვეშ“ შეიცვალოს სიტყვით „თავდებქვეშ“;

ამოღებულ იქნეს მესამე ნაწილი და ამასთან დაკავშირებით მეოთხე და მეხუთე ნაწილები ჩაითვალოს შესაბამისად მესამე და მეოთხე ნაწილებად;

„შესმენაში ნატურალური სიტყვები „ატყობინებენ დაზარალებულს, რომელსაც“, „შეუძლია გასაჩივროს“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „ატყობინებენ დაზარალებულს და მის წარმომადგენელს, რომელთაც“, „შეუძლიათ გასაჩივრონ“;

მეოთხე ნაწილში სიტყვები „თავდებობის ქვეშ“, „მშრომელთა კოლექტივი“, „დამნაშავის“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „თავდებქვეშ“, „შრომთა კოლექტივი“, „პირის“.

11. მე-10 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, თუ არა სასამართლოს ვა-  
დაწყვეტილების საფუძველზე ან პროკურორის სანქციით“.

12. မျှ-13 မှုပ်နည်း

მეორე ნაწილი ჩატოყალიბდეს შემდეგი რეაგენტის:

„სისხლის სამართლის საქმეები პირები ინსტანციის ყველა სასამართლოში განხილება მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემაღენლობით. სახალხო მსაჯულები მართლმასაჯულების განხორციელების დროს სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით. სახალხო მსაჯულები სარგებლობენ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანაბარი უფლებებით ყველა იმ საკითხის გადაჭრაში, რომლებიც წამოიჭრება საქმის განხილვისა და გინაჩენის დადგენის დროს“;

მესამე ნაწილში სიტყვები „სასამართლო ზედამხედველობის წესით“ შეიცვალოს სიტყვებით „ზედამხედველობის წესით“.

13. მე-16 მუხლს მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„საქმის მოსმენა სამამართლოს დახურულ სხდომაზე ხორციელდება სამართლწარმოების ყველა წესის დაცვით“;

მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეორე ნაწილად.

14. မေ-၂၀ မှုပုံပြန်

სათაურში სიტყვები „სასმართლო წარმოებაში“ შეიცვალოს სიტყვით „სამართლწარმოებაში“;

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სისხლის სამართლის სამართლწარმოებაში სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის ვენერა-ლური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს სსრ პრო-კურორი და ქვემდგომი პროკურორები“;

მეორე და მესამე ნაწილებში სიტყვები „სასამართლო წარმოების“, „სა-  
სამართლო წარმოებაში“ შეიცვალოს სიტყვებით „სამართალწარმოების“, „სა-  
მართალწარმოებაში“.

15. 21-ე მუხლის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „სასამართლო წარმოებაში“ შეიკვალოს სიტყვით „სამართლებრმოებაში“.

16. 22-ე მუხლის სათაურში და პირველ ნაწილში სიტყვები „უცხო სახე-ლმწიფოების მოქალაქეთა“ და „უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებისა“ შეიცვალოს სიტყვებით „უცხოელ მოქალაქეთა“.

17. 23-ე მუხლში სიტყვა „არშეპირებული“ შეიცვალოს სიტყვით „შეუპირებელი“.

18. 25-ე მუხლში:

სათაური და პირველი ტეზით ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,„მუხლი 25. ამ კოდექსში გამოყენებული ზოვიერთი სახელმწიფოების განმარტება“

ამ კოდექსში გამოყენებულ სახელმწიფოებებს, თუ კანონში არ არის განსაკუთრებული მითითება, შემდეგი მნიშვნელობა აქვთ:“.

შე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,„5) „პროკურორი“ — ნიშანას სსრ კაშირის გენერალურ პროკურორს, საქართველოს სსრ პროკურორს, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების პროკურორებს, სამხედრო, ტრანსპორტის და სხვა პროკურორებს, რომლებიც გათანაბრებული არიან ოლქის, რაიონის ან ქალაქის პროკურორებთან, მათ მოადგილებასა და თანამემწერებს, პროკურორების განყოფილებათა და სამართველოთა პროკურორებს, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში“;

შე-6 პუნქტში სიტყვები „სახელმწიფო უშიშროების გამომიებელი“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომიებელი“;

შე-16 პუნქტში სიტყვა „მოკვლევის მწარმოებელი პირის“ შეიცვალოს სიტყვით „მომკვლევი პირის“.

19. მეორე და მეხუთე თავების სათაურებში, 26-ე მუხლის პირველ ნაწილში და 29-ე მუხლში სიტყვები „სასამართლო წარმოებაში“, „სასამართლო წარმოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სამართალწარმოებაში“, „სამართალ-წარმოების“.

20. 43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეხუთე და მეექვსე ნაწილები:

„წინასწარი გამოძიების ორგანოს, პროკურორს, სასამართლოს, რომელთა წარმოებაშიც იმყოფება საქმე, აგრეთვე იურიდიული კონსულტაციის გამგეს და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს სსრ კავშირისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით უფლება აქვთ გაათავისუფლონ ბრალდებული მთლიანად ან ნაწილობრივ იურიდიული დახმარებისათვის საფასურის გადახდისაგან.“

წინასწარი გამოძიების ორგანოს, პროკურორის ან სასამართლოს მიერ იურიდიული დახმარების საფასურის გადახდისაგან მოქალაქის გათავისუფლებისას აღვოკატის შრომა ანაზღაურდება სახელმწიფოს ხარჯზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით“.

21. 46-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შეხუთე ნაწილი:

„ადვოკატს, პროფესიული კავშირის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელს უფლება არა აქვთ გააბმაურონ ცნობები. რომლებიც ნიაწოდეს მათ დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით“.

22. 47-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოქალაქეს, რომელიც დანაშაულით დაზარალებულად არის ცნობილი, უფლება აქვს მისცეს ჩვენება საქმეზე. დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს უფლება აქვთ: წარადგინონ მტკიცებულებები; განაცხადონ შუამდგომლობები; გაეცნონ საქმის ცველა მხსალა წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან; შონაწილეობა მიიღონ სასამართლო განხილვაში; განაცხადონ აცილება; შეიტანონ საჩივარი მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს მოქმედებაზე, აგრეთვე სასამართლოს განაჩენსა ან განჩინებაზე და სახალხო მოსამართლის დადგენილებაზე“.

23. 50-ე და 58-ე მუხლებში სიტყვები „მოკვლევის მწარმოებელი პირი“ და „ის პირი, რომელიც აწარმოებს მოკვლევას“ შეიცვალოს სიტყვებით „მომკვლევი პირი“.

24. 55-ე მუხლის პირველ ნაწილში და 57-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვა „დაზარალებულმა“ შეიცვალოს სიტყვებით „დაზარალებულმა და მისმა წარმომადგენელმა“.

25. 56-ე მუხლში:

სათაურში სიტყვები „მოსამართლის მიმართ“ შეიცვალოს სიტყვით „მოსამართლისათვის“;

პირველ ნაწილში სიტყვები „მოსამართლის წინააღმდეგ“ შეიცვალოს სიტყვებით „მოსამართლის მიმართ“.

26. 61-ე მუხლში სიტყვები „მოკვლევის ორგანოები“ შეიცვალოს სიტყვებით „მოკვლევის ორგანო“.

27. 65-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე პუნქტი:

„3. აღვოკატი, პროფესიული კავშირის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი — საქმის გარემოებების შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით“.

28. 67-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაზარალებულის არასაპატიო მიზეზით გამოცეხადებლობისას მოქმედება პირს, გამომძიებელს, პროკურორის და სასამართლოს უფლება აქვთ იძულებით მოიყვანონ იგი. თუ დაზარალებული სასამართლო სხდომაზე არ გამოცეხადდა ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაპატიოდ ცნობს, მას საქმის განმხილველი სასამართლო განჩინებით შეიძლება დაკავისროს ჯარიმა 30 მანეთა-ბდე. შეგნებულად ცრუ ჩვენებს მიცემისათვის დაზარალებული პასუხს ავებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლით“.

29. 68-ე მუხლში სიტყვები „ეჭვმიტანილი დაიკითხება“ შეიცვალოს სიტყვებით: „ეჭვმიტანილს უფლება აქვს მისცეს ჩვენება“.

30. 69-ე მუხლში სიტყვები „ბრალდებული დაიკითხება“ შეიცვალოს; სიტყვებით „ბრალდებულს უფლება აქვს მისცეს ჩვენება“.

31. 70-ე მუხლში:

სათაური ჩამოყალიბდეს შემდევნირად: „ექსპერტიზა“;

პირველ ნაწილში სიტყვა „ვამოცვლევის“ შეიცვალოს სიტყვით „ვამოძიების“.

32. 73-ე მუხლში:

პირველი ნაწილის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ ექსპერტი უარს იტყვის თავისი მოვალეობის შესრულებაზე არასაბატონ მიზეზით, თაგან აარიდებს გამოცხადებას ან შეგნებულად ყალბ დასკვნას მისცემს, იგი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე და 198-ე მუხლებით“;

მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) დაესწროს მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვით დაკითხვის და სხვა სავარისტიზაციის თუ სასამართლო მოქმედებათ შესრულებას, დასაკითხო პირებს ნისცეს შეკითხვები, რომლებიც ექსპერტიზის საგანს შეეხება“;

ტესამე ნაწილში სიტყვები „ექსპერტს შეუძლია“ შეიცვალოს სიტყვებით „ექსპერტი მოვალეა“.

33. 74-ე მუხლში სიტყვები „ბრალდებულის ბრალის“ შეიცვალოს სიტყვით „პასუხისმგებლობის“.

34. 76-ე მუხლში სიტყვები „სასამართლო წარმოების წესით“ და „მაღლებუჭება“ შეიცვალოს სიტყვებით „სამართლწარმოების წესით“ და „მაღლებუჭებისადა“. 35. 77-ე მუხლში:

მეორე ნაწილში სიტყვები „სასამართლო წარმოების წესით“ შეიცვალოს სიტყვებით „სამართლწარმოების წესით“;

დაგვატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენნ ნივთიერ მტკიცებულებებს, დაქროვის საქმეს მისი შენახვის მთელი დროის განმავლობაში, ან ვადაცემა დაინტერესებულ დაწესებულებებს.“

36. 87-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავდებ საზოგადოებრივ ორგანიზაციის უნდა ეცნობოს იმ საქმის არსი, რომლის გამოც შერჩეულია აღნიშნული აღვეთის ღონისძიება“.

37. 88-ე მუხლში:

პირველ ნაწილში სიტყვები „1969 წლის 11 ივნისის კანონით დამტკიცებული“ შეიცვალოს სიტყვებით „წინასწარი პატიმრობის შესახებ“;

მეორე ნაწილში მითითებები „91-ე II და III ნაწ.“, „92-ე II და III ნაწ.“, „მე-100 II ნაწ.“, „150-ე II და III ნაწ.“, „151-ე I და III ნაწ.“ და „165-ე II ნაწ.“ მუხლებზე შეიცვალოს შესაბამისად მითითებებით „91-ე II-IV ნაწ.“, „92-ე II-IV ნაწ.“, „მე-100 II და III ნაწ.“, „150-ე II-IV ნაწ.“,

„151-ე II-IV ნაწ.“ და „165-ე II და III ნაწ.“ მუხლებზე; ამავე ნაწილს „121-ე II ნაწ.“ მუხლზე მითითების შემდეგ დაემატოს მითითება „133-ე II ნაწ.“ მუხლზე, ხოლო „260-ე პარაგრაფი „ბ“ მუხლზე მითითების შემდეგ — მითითება „262-ე“ მუხლზე.

მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებული“;

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მეხუთე და მეექვსე ნაწილები:

„დაპატიმრების სანქციის საკითხის გადაწყვეტისას პროკურორი მოვალე გულდასმით გაეცნოს ყველა იმ მასალას, რომელიც შეიცავს დაპატიმრების საფუძველს, და საჭირო შემთხვევებში პირადად დაკითხოს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული, ხოლო ორასრულწლოვანი ეჭვმიტანილი ან ბრალდებული — ყველა შემთხვევაში.

დაპატიმრების სანქციის გაცემის უფლება აქვთ: სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, მთავარ სამხედრო პროკურორს, საქართველოს სსრ პროკურორს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, ქალაქ თბილისის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორებს, მათ მოადგილებს, რაიონისა და ქალაქის პროკურორებს, აგრეთვე სამხედრო, ტრანსპორტის და სხვა პროკურორებს, რომლებიც მოქმედებენ ოლქის, რაიონის ან ქალაქის პროკურორების უფლებებით, და პროკურორობა მოადგილებს, რომლებიც მოქმედებენ ოლქის პროკურორის უფლებებით“.

### 38. 89-ე მუხლში:

სიტყვები „სამხედრო ოლქის, სამხედრო ფლოტის სამხედრო პროკურორმა“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობის, ოლქის, ჯარების ჯგუფის, ფლოტის სამხედრო პროკურორმა“;

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

